F 343
1956

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილა

„ოქროვები, ტეფრე ქალაქნა,
ოდესნა, ოდესი მზარეი,
და ჭრა, ქორეული, ფრეული
ხასიათელი ეკეთხარეი.“

№ 7 საკავშირო აღმ. ცენტრალური კომიტეტის ორგანო მცირეწლოვანთათვის

იულისი 1956

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნორჩ მეზღვაურთა სიმღერა

რევაზ მარგიანი

ზღვა გაშლილა ვეება—
აქოჩრია ფაფარი,
ტალღა ტალღას შეება,
მაგრამ არ ვართ ჯაბანნი;

არ გვაშინებს ავდარი—
ტალღა ყალყზე შემდგარი,
გზას მიიკვლევს დგანდგარით
ჩვენი გემი მედგარი.

ზღვა გუგუნებს ძლიერად
და ჩვენც ვეხმაურებით.
ჩვენ ვართ მეზღვაურები,
ნორჩი მეზღვაურები.

— კაპიტანო! მზადა ვართ!
გასწი, გაგვიყოლიე,
ხედავ, მშობელ ნაპირთან
მოლივლივე თოლიებს.

— ხედავ, კიჩო გემისა
ტალღებს როგორ აგორებს,
ხედავ, ვემშვიდობებით
უსაყვარლეს მთაგორებს.

... გავა წელი მრავალი,
დღეს რომ გვიცნობთ პატარებს,
საბჭოეთის გემებით
ქვეყნებს შემოგატარებთ.

გასწი, გასწი, შტურმანო,
ზღვა დასერეთ ხნულებით,
ჩვენ ვართ მეზღვაურები,
ნორჩი მეზღვაურები.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბირმა თბილი ქვეყანაა

მ. გოლუნოვა

შემოდგომაზე, როდესაც ხეებს ფოთლები გასცვივა და ცივი ქარი დაუბერავს, ფრინველები სამხრეთისაკენ — თბილ ქვეყნებში მიფრინავენ. თბილი ქვეყანა ბევრია, ისინი ერთმანეთს იმითაც ჰგვანან, რომ იქ სიცივე არასოდეს არ იცის; ხეები ყოველთვის მწვანეა, მცხოვრებლები პალტოსა და ქუდებს არ ატარებენ, ხელთათმანებს კი მთელ ბირმაში ერთ წყვილსაც ვერ იპოვით.

იმ ქვეყანას, რომლის შესახებაც გვინდა მოგითხროთ, ბირმა ეწოდება. ბირმა ჩვენგან შორს მდებარეობს — წყნარი ოკეანის ნაპირას. როგორც ხხეა თბილ ქვეყნებში, აქაც მთელი წლის განმავლობაში მზე ანათებს, სპილოები შუა ქუჩაში დადიან, იფურჩქნება ყვავილები, იზრდება ქოქოსის პალმები, ბამბუკი, ბანანისა და მანგოს ხეები. მათი ვეებერთელა ტოტები თითქოს იმისათვის გადაშლილან ასე განივრად, რომ მზით გახურებულ მიწას ჩრდილი მოჰფინონ.

პაპანაქება სიცხეში ყოველთვის შეიძლება ამ ხეებს თავი შეაფაროთ.

ტყუილად კი არ უყვართ თეთრ ყარყატებს ეს გაშლილი ტოტები. გაზაფხულზე, ვიდრე სამშობლო მხარეში, ჩრდილოეთისაკენ გაფრინდებოდნენ, ყარყატები ამ ხეებზე სახლდებიან, რომ კარგად დაისვენონ და ძალა მოიკრიბონ შორი მოგზაურობისათვის.

აქ ბევრი ფრინველია: მყვირალა თუთიყუშები, ფერად-ფერადი ფარშავანგები, ბირმის დედაქალაქში რანგუნში კი უამრავი ჭილყვავიც არის.

ქუჩებში

ბირმის ქალაქებში ძლიერ ხმაურიანი, აჭრელებული და ხალხით სავსე ქუჩებია. ეს იმიტომ, რომ ბირმელები უმეტეს დროს ღია ცისქვეშ ატარებენ.

აი, პირდაპირ ქუჩაში დალაქმა დასვა კაცი გასაშლელ რბილ სკამზე და პარსავს; თუ კაცი მოისურვებს, დალაქი თავსაც იქვე დაბანს, ან გაკრეჭს.

კუთხეში საკერავი მანქანის რახრახი მოისმის, — მკერავი ქვაფენილზე ზის და მუშაობს. აქვეა სასადილოებიც; პატარა ქვაბებში ნაირ-ნაირი საჭმელი მზადდება და მთელს ქუჩაში მადისმომგვრელი სუნი ტრიალებს.

თუ გსურთ, დაბრძანდით პატარა მაგიდასთან, ანდა, როგორც გნებავდეთ, ჩაცუცქდით, თუნდა ფეხი მოიკეცეთ, მაშინვე მოგართმევენ ფლავს პატარა ფიალებით, ან უბრალოდ, — ბამბუკის ფოთლებში გახვეულს. ფლავი შენელებულია სხვადასხვა სანელებლით. ბირმელებს

საქართველო
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერ უყვართ საწებელი „ნგაპი“, რომელსაც ისინი თევზისაგან ამზადებენ.

ქუჩებში, ტროტუარების გასწვრივ დაგებულ ტილოებზე, დაწყობილია გასაყიდი საქონელი, მოვაჭრეები ხმამაღლა ეპატიჟებიან მყიდველებს. ფარდულებში იყიდება ვერცხლის, სპილოს ძვლის და ლაქწასმული ხის ნივთები. აქ არის განსაცვიფრებელი ქანდაკებები, რომლებიც მოწითალო სანდალის ხისაგან არის გამოთლილი. სანდალის ხეს ძლიერ სასიამოვნო სუნი აქვს, ასეთ ქანდაკებას დიდხანს შერჩება ხოლმე თაფლისა და ყვავილოვანი ხეების სურნელება.

სპილოს ძვლის ნივთები ისეთი წმინდა ჭრილებით არის დაფარული, რომ ძნელი წარმოსადგენია ადამიანის ხელით იყოს გაკეთებული. მაგრამ აი, თვით ოსტატიც! შეჰყურებთ, როგორ მოხერხებულად მუშაობენ მისი თითები; მას უბრალო იარაღებით გამოჰყავს ესაოცარი ჩუქურთმები.

ხშირად ქუჩაში ასეთ სურათს დაინახავთ: გაქანებული ავტომანქანა უცბად შეჩერდება. რა მოხდა? თურმე შუა ქუჩაში, მანქანის პირდაპირ, მოდის ორი მჭლე ძროხა. თუ ძროხებს მოესურვებათ, შეუძლიათ შუა გზაზე დაწვნენ და ჩრდილში მშვიდად მოისვენონ. მათ არავინ ახლებს ხელს და არც აწყენინებს, რადგან ბირმელები ძროხებს წმიდა ცხოველებად თვლიან.

ბირმის ქუჩებში ძაღლებიც ბევრია. ისინი ბინებში თავისუფლად შედიან. ბირმელები ამ ძაღლებს არამცთუ ერეკებიან, საჭმელსაც მიართმევენ ხოლმე.

ქუჩებში ხის სახლები ხშირად შავად არის შეღებილი. ეს იმიტომ, რომ მოსახლეობამ თავი დაიცვას თეთრი ჭიანჭველებისაგან—ტერმიტებისაგან, რომლებიც ავეჯს დიდ ზიანს აყენებენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკოლასთან

თუ გნებავთ, რომ ქალაქში ყველაზე უფრო ხმაურიან და მხიარულ ადგილს მოხვდეთ, მეცადინეობის დამთავრებისას სკოლასთან უნდა მიხვიდეთ. სკოლიდან გამორბიან მოსწავლეები. გოგონებსაც და ბიჭებსაც მწვანე ჩითის ქვედატანი აცვიათ, ხოლო შიშველ ფეხზე—სანდლები; წიგნები და რვეულები ჭელი შალის ჩანთებით დააქვთ, რომლებიც მხარზე აქვთ გადაკიდებული.

მაგრამ ახლა მათ ეს ჩანთები ბალახზე დაუწყვიათ და თავიანთ საყვარელ „ჩინლონს“ თამაშობენ.

„ჩინლონი“—ბურთის თამაშია. ბურთს ჰაერში ააგდებენ ხოლმე. თამაში შეიძლება მხრებით, თავით, გვერდით, მაგრამ ხელით კი—არავითარ შემთხვევაში. ეს ძნელი თამაშია. მოთამაშე ძლიერ მკვირცხლი და მოქნილი უნდა იყოს. ბირმელმა ბავშვებმა მართლაც ჩინებულად იციან „ჩინლონის“ თამაში.

როგორც სხვა ქვეყნის მოსწავლეებს, ასევე ბირმელ ბავშვებსაც უყვართ ზოოპარკში სიარული. კოხტა რიკულებით შემოღობილ ბაღში ცხოვრობენ ცხოველები: სპილოები, მაიმუნები, ჟირაფები, ლამაზი ფარშავანგები და სირაქლემები. მაგრამ ეს ცხოველები ხომ ჩვენს ზოოპარკშიაც არიან.

აი, ვეებერთელა კუ გზაზე მიდის. ასეთ კუზე შეიძლება სამიოდე წლის ბავშვი შესვა და ასეირნო. ასეთი ვეებერთელა კუ ჩვენში კი არ არის.

წყლის დღესასწაული

წყალი—ეს დიდი სიმდიდრეა, განსაკუთრებით ცხელ ქვეყანაში, სადაც მთელი წლის განმავლობაში მზე აცხუნებს, თითქოს მას მიწის გადაწვა ან გამოშრობა უნდაო.

წყალი ასაზრდოებს მცენარეებს, აცოცხლებს ყველაფერს და მოსავალიც უხვია. ამიტომ არის, რომ ბირმაში ყველაზე დიდი და მხიარული დღესასწაული წყლის დღესასწაულია.

აპრილში, როდესაც ჩვენში გაზაფხულია, ბირმაში მშრალი ამინდები მიიწურება. მაშინ იწყება წყლის დღესასწაული, რომელიც სამ დღეს გრძელდება. უნდა ნახოთ, რა ხდება ამ დღეებში ბირმის ქალაქებსა და სოფლებში. შეიძლება გაწუწო ადამიანები და არავის ეწყინება. ახალი ტანსაცმლით ქუჩაში რომ გამოხვიდე, არავინ დაგზოგავს, — თავით ფეხამდე გაგწუწავენ.

დღესასწაულის დღეს ყველაზე ადრე მხიარულების მოყვარულნი იღვიძებენ. ქალაქი არც კი არის გაღვიძებული, ისინი უკვე მოედნებზე და ქუჩებში წყლით სავსე კასრებს დგამენ. აბა, ფრთხილად, გამვლელებო, ვიღაცამ წყალსდენს რეზინის გრძელი მილი მიამაგრა. ეს მართლაც კარგი შხაპი იქნება! აი, პირველი მანქანა გამოჩნდა. იმწამსვე დატრიალდა ტოლჩები და თასები. დიდი და პატარა მანქანისაკენ გარბის, მაგრამ მძღოლი უფრო ყოჩაღი აღმოჩნდა, დაასწრო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდნავ გაღებული ფანჯრიდან ყველა გაწუწა.

გილოცავთ წყლის ღღესასწაულს!

მზისაგან გაშავებული, მოხერხებული ბიჭუნები ძალას არ ზოგავენ, ქვაფენილებზე აქეთ-იქით წყლით სავსე ჭურჭლებით დაჰქრიან. ყმაწვილები თითქმის შიშვლები არიან, სულ პატარები კი ტიტლიკანები; ისინი მხიარულად დატყაპუნებენ წყალში. ყველა თავით ფეხამდე გაწუწულია. ქუჩებში ნაკადულივით მოედინება წყალი, მაგრამ ეს არაფერია, აქ ხომ ტროპიკული სიცხეა და მალე გაშრებიან!

გვიანობამდე ისმის წყლის შხაპუნი, სიმღერა და სიცილი. მართალია, ხალხი დაღლილი და გაწუწულია, მაგრამ შინ მაინც მხიარულები ბრუნდებიან.

ბირმა ჩვენი მეგობარია

ბირმა დიდი ხნის განმავლობაში მძიმე ჩაგვრას განიცდიდა. მისი სიმდიდრე ეკუთვნოდა არა ბირმელ ხალხს, არამედ უცხო დამპყრობლებს. მაგრამ ბირმელებს თვითონ უნდოდათ თავისი მიწა-წყლის ბატონ-პატრონი ყოფილიყვნენ და აი, რვა წლის წინათ, ისინი მჩაგვრელების წინააღმდეგ აღსდგნენ. ამ დროიდან ბირმა დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა. ახლა ბირმელი ხალხი თავისუფალ მიწაზე უკეთესად ცხოვრობს.

ბირმა ჩვენი მეგობარია. როგორც ბირმელ ხალხს, ასევე ჩვენ ხალხსაც უნდათ ერთი და იგივე: ვიშრომოთ და ვიცხოვროთ მშვიდობიანად.

თარგმანი ხ. თურნავეხი

ნახატები ალ. ბანძელაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯ. ჩარკვიანი

ნახატები ბ. ჩირინაშვილისა

ძია დათოს ავტო

მზიას მამას ავტო ჰყავს,
ნამდვილი და ფრთამალი.
სოფელ-სოფელ დავდივართ
ტარიელი, თამარი.

კაბინაში საჯდომთან
თვითონ მზიას მამა ზის,
ქუთაისის ავტოა,
კრიალა და ლამაზი.

ეზიდება სამ ტონას
ქალაქიდან, სოფლიდან.
უჰ, რა კარგი ავტოა,
კი არ მოდის, მოფრინავს!

ბ. ჟიჟინაძე

ჩვენი მეეზოვე

ეოველ დილით ცოცხით ხელში
თავს ევლება მწვანე ზონებს,
სარკესავით აწკრიალებს
კარ-მიდამოს მეეზოვე.

სუფთა ხალათს დაატარებს,
ასუფთავებს ეზოს, ქუჩას,
აბა, კარგად დააკვირდით,
რა კეთილი სახე უჩანს.

ჯანმრთელი რომ ვიეოთ მუდამ,
მტვრის ნამცეცსაც არსად სტოვებს.
და ჩვენც ვეიევარს, ძლიერ ვეიევარს
ჩვენი კარგი მეეზოვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლო ვენ-ინი

ჯან ჭიან-ი

ნახატები გ. თოთიბაძისა

პიონერები წითელ ყელსახვევს ჩინეთშიც ატარებენ. ერთხელ მოსწავლეები სტუმრად ეწვივნენ სახალხო არმიის ჯარისკაცებს. ერთი პიჭის გარდა ყველანი ყელსახვევებით იყვნენ.

— შენ რა გქვია? — დაადო მეთაურმა მხარზე ხელი.

— ლო ვენ-ინი!

— რატომ დაგავიწყდა პიონერის ყელსახვევი?

ლო ვენ-ინმა თავი ძირს დახარა.

— კი არ დავიწყებია, პიონერად არ მიიღეს! — უპასუხეს მის მაგივრად ამხანაგებმა.

ლო ვენ-ინს შერცხვა, გაწითლდა და დაბნეულმა წაილუღლუღა:

— მე... მე გამოვსწორდები... აი, ნახავთ, კარგად ვისწავლი.

როგორც კი ქუჩაში გავიდნენ, ლო ვენ-ინი დაფიქრდა: „დღეს შაბათია, უკვე აღარც ღირს გამოსწორება, აი, ხვალიდან კი აუცილებლად გამოვსწორდები.“

მეორე დღეს კვირა იყო. ლო ვენ-ინმა იფიქრა: „დღეს კვირაა, ყველა ისვენებს და მეც დავისვენებ, ხვალ კი...“

ორშაბათს ლო ვენ-ინი ადრე წამოდგა და სკოლაში წავიდა. იქ ბეჯითად უსმენდა მასწავლებელს, გაკვეთილების შემდეგ კი შინისაკენ გაემართა. გზა ბაზართან გადიოდა. ჩვეულებისამებრ ლო ვენ-ინი დიდხანს ჩერდებოდა ხოლმე იქ, დაეხეტებოდა ფარდულებში და ყველაფერს ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა.

ასე იქცეოდა წინანდელი ლო ვენ-ინი. ახლა კი ასე აღარ მოიქცევა. მაშინვე წავა შინ, აიღებს ფუნჯს, მელანს და გულმოდგინედ გამოიყვანს იეროგლიფებს. მხოლოდ ერთი წუთით შეიხედავს კუს გამყიდველთან და ნახავს, თუ როგორ ცხოვრობს ყველა მისი ნაცნობი კუ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველა კუ თავის ადგილზე იყო.

— გამარჯობათ, პატივცემულნო! — შესძახა ლო ვენ-ინმა.

მათ ჯავშნებიდან თავები გამოჰყვეს, შეხედეს ლო ვენ-ინს და, თუმცა ახლა იგი სხვა ლო ვენ-ინი იყო, მაინც იცნეს, თავები დაუქნიეს და ისევ თავიანთ ჯავშნებში შეიმალნენ.

როცა ლო ვენ-ინი შინ მივიდა, ქუჩაში უკვე ბნელოდა. ლო ვენ-ინს ისე ეძინებოდა, რომ გაკვეთილებზე ფიქრიც ზედმეტი იყო. „ხვალ ვიმეცადინებ!“ — გადაწყვიტა ლო ვენ-ინმა.

მეორე დღეს გვიან ადგა და ძლივს მოასწრო სკოლაში მისვლა. რა თქმა უნდა, გაკვეთილები ვერ მოამზადა. მასწავლებელმა დატუქსა. ატირდა ლო ვენ-ინი. ამხანაგები გარს შემოეხვივნენ. რგოლის ხელმძღვანელმა ლი სიაო-ცინმა უთხრა:

— ნუ ტირი, დაგეხმარებით! გინდა ერთად ვიმეცადინოთ?

— მინდა... მხოლოდ დღეს არა, ხვალ... ან უკეთესი იქნება ზეგ.

— რატომ გადავდოთ? — ჩაერია ლა-პარაკში მოწაფე ჯაო ძი-ლინი, — ჩვენ ყველანი დღეს შევიკრიბებით ლი სიაო-ცინთან ექვს საათზე. შენც მოდი!

ლო ვენ-ინი შინისაკენ გაეშურა. ისადილა, დაისვენა, მერე კი ამხანაგებთან წასვლა დაეზარა.

უეცრად ფანჯრიდან მოესმა:

— ლო ვენ-ინ! რატომ არ მოხვედი სამეცადინოდ? ავად ხომ არა ხარ!

ლო ვენ-ინმა ლი სიაო-ცინის ხმა იცნო. თავი გადაჰყო და ძლივძლივობით უპასუხა:

— არა!

— აბა, ჩქარა წავიდეთ!

— მაშ მელოდებიან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა თქმა უნდა! შინ რომ არ გვენახე, ბაზარში დაგიწყებდით ძებნას, თუ ბაზარში ვერ გიპოვნიდით, საჩაიეში წავიდოდით.

გახარებულმა ლო ვენ-ინმა ხელი დაავლო წიგნებს და ლი სიაო-ცინთან ერთად ამხანაგებთან გაიქცა. გულმოდგინედ იმეცადინა, მეორე დღესაც ყურადღებით მოუსმინა მასწავლებელს და კარგი ნიშანიც მიიღო.

— ნამდვილად ველარ გცნობ, ლო ვენ-ინ!—შეაქო მასწავლებელმა.

გაკვეთილების შემდეგ ლო ვენ-ინმა ლი სიაო-ცინს უთხრა:

— მინდა შინ წავიდე, მაგრამ მეშინია, გზაზე შემთხვევით ბაზარში ან საჩაიეში არ დავაყოვნო.

— გამცილებელს გაგაყოლებთ, სახლამდე მიგყვება, — უთხრა ლი სიაო-ცინმა.

ლო ვენ-ინი სამ დღეს გამცილებლით დადიოდა. მეოთხე დღეს კი თქვა:

— ახლა მარტო წავალ.—აიღო ჩანთა და შინისკენ გაეშურა. აი, ბაზრის მოჩუქურთმებული ჭიშკარი. საინტერესოა, როგორ ცხოვრობს იქ ყველა მისი ნაცნობი კუ?

ლო ვენ-ინმა ნაბიჯი შეანელა, მაგრამ გადაიფიქრა და ჭიშკარს გვერდი აუარა.

აი, საჩაიეს ხვეული კიბეც, წითელი გაპრიალებული ბოძები. ახლა იქ ჭადრაკს თამაშობენ. შეხედავს — ვის უფრო კარგად აქვს საქმე: თეთრებს თუ შავებს!

ლო ვენ-ინმა ფეხი შედგა საფეხურზე, მაგრამ ჩაფიქრდა, ამოიოხრა, უკანვე ჩამოვიდა და გზა განაგრძო.

რამდენიმე ხნის შემდეგ მოსწავლეებმა ისევ ინახულეს ჯარისკაცები; ყაზარმაში პირველად ლო ვენ-ინი შევიდა, მკერდზე აბრეშუმის წითელი ყელსახვევი უბრწყინავდა.

— შენ ლო ვენ-ინი ხარ, არა? — ჰკითხა მეთაურმა.

— დიახ!—უპასუხა ლო ვენ-ინმა,—მაგრამ ახლა სხვა ლო ვენ-ინი ვარ!—და მეთაურს თავის ახალ ყელსახვევზე მიუთითა.

მეთაური ფრთხილად შეეხო მის აბრეშუმის ყელსახვევს, გაიღიმა და უთხრა:

— მოგილოცავ! — და ლო ვენ-ინის პატარა ხელს მაგრად მოუჭირა ხელი.

თარგმანი გ. ქავთარაძისა



შ. შონია

ფოლადი

ნახატები კ. მახარაძისა

შენ წინ მრავალფეროვანი და საიდუმლოებით სავსე სამყაროა გადაშლილი. შენ კი მეტად ცნობისმოყვარე ხარ. ყოველ ახალ საგანს, რომელსაც პირველად ხედავ, დიდი ინტერესით ათვალიერებ, ხელით ეხები; მერე გაკვირვებული თვალებით შეხედავ უფროსს და ეკითხები: „რა არის ეს?“ „რისგან კეთდება?“

აი, მამამ გიყიდა სამთვლიანი ველოსიპედი კრიალა საჭეთი, წითლად შეღებილი ლამაზი ბორბლებით. შენს სიხარულს საზღვარი არა აქვს; მარდად შესკუპდი ტყავის „უნაგირზე“, ფეხებით პედალები აამოძრავე და, ჭერი ბიჯო, გააქროლე შენი უჩვეულო რაში ოთახებში.

თუ იცი, ველოსიპედს რისგან აკეთებენ?—ფოლადისაგან.

ფოლადი ყველა სხვა მასალაზე უფრო გამძლე და მაგარია. იგი არ იმტვრევა და დიდხანს ემსახურება ადამიანს.

რას არ აკეთებენ ადამიანები ფოლადისაგან!

პაწაწა ნემსი, რომლითაც დედა ლამაზ ტანსაცმელს გიკერავს, ანდა შენი დაიკო თოჯინებს წინსაფარს რომ უმზადებს—ფოლადისაა.

გადახედე ქუჩას,—ათასნაირი მანქანები მისრიალებენ განიერ ასფალტზე. შენს თვალწინ ჩაიქროლა ახალთახალმა მწვანე ფერის „პობედამ“, გამოჩნდა „ზიმი“, „მოსკვიჩიც“...

— ეს რაღაა, ასეთი დიდი და ძლიერი მანქანა? მასთან „ზიმიც“ კი სათამაშო ავტოსა ჰგავს.

ეს არის ავტობუსი „ზის—150“. იგი ერთდროულად ორმოცდაათ კაცს იტევს და თან ისე სწრაფად მოძრაობს, თითქოს შიგ ერთი მგზავრიც კი არ იჯდეს.

ყველა ამ მანქანის შესაქმნელად საჭიროა ფოლადი!

ზაფხულობით, როცა ქალაქში პაპანაქება სიცხეა, შენ, ალბათ, აგარაკზე ნაძვების ჩრდილში თამაშობ.

მატარებელი, რომელმაც აგარაკზე ჩამოგიყვანა, ფოლადის ბორბლებზე დგას და ფოლადისავე ლიანდაგზე მოძრაობს.

აი, თურმე რამდენი რამ კეთდება ფოლადისაგან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ თვითონ ფოლადი კი როგორ-ღა იქმნება, რისგან იღებენ ადამიანები?

აბა, ყური დამიგდე, რას მოგიყვები ფოლადის წარმოშობის შესახებ:

ფოლადს ადამიანები რკინის მადნის გამოდნობით ღებულობენ. დედამიწაზე რკინის მადანი დიდი რაოდენობით მოიპოვება. ზოგან იგი მიწაში ღრმად არის ჩაფლული, ზოგან კი—მიწის ზედაპირზეა.

წინათ მუშებს რკინის მადნის საბადოებში წერაქვითა და ნიჩბით უხდებოდათ მუშაობა. დღეს მათი მძიმე შრომა დიდმა და რთული მოწყობილობის მანქანებმა შეცვალა.

მე მინდა მოგითხროთ ერთ-ერთ ასეთ მანქანაზე. მას ექსკავატორს უწოდებენ.

ეს საკვირველი მანქანა ისეა მოწყობილი, რომ ნიჩბით მომუშავე ადამიანის მოძრაობას ჰბაძავს.

ექსკავატორს აქვს გრძელი მექანიკური „ხელი“, რომელსაც უჭირავს ბასრი ფოლადის კბილებიანი ციცხვი. როგორც შენ იცი ხოლმე ვაშლის ჩაკბეჩა, ისე ციცხვი ფოლადის კბილებით ჩაკბეჩს მადანს. როცა ციცხვი პირამდე აივსება, ექსკავატორი „ხელს“ ზემოთ ასწევს და ცარიელ ვაგონისაკენ შემოაბრუნებს.

ციცხვი უკვე ვაგონის თავზეა. უცებ მემანქანემ, რომელიც ექსკავატორის

კაბინაში ზის, ბერკეტი გადასწია—გაიხსნა ციცხვის ზურგი და მადანი რახრახით ჩაიყარა ვაგონში.

ორჯერ, სამჯერ კიდევ შემოაბრუნა ფოლადის სპილომ ხორთუმი, და ვაგონი უკვე დაიტვირთა. ორთქლმავალმა იმწამსვე შემდეგი ცარიელი ვაგონი ჩამოაყენა. რამდენიმე წუთში ისიც გაივსო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აი, ექსკავატორმა მადნით დატვირთა მრავალვაგონიანი მატარებელი. გაისმა ორთქლმავლის საყვირის ხმა. მატარებელი დაიძრა.

საით მიაქროლებს რკინით სავსე ვაგონებს ორთქლმავალი? — ქარხანაში, სადაც ამ მადნისაგან ფოლადს მიიღებენ.

მეტალურგიული ქარხანა ათეულ კილომეტრზეა გადაჭიმული. მის მაღალ შენობებსა და საკვამურ მილებს ძალიან შორი მანძილიდანაც კი შეამჩნევ.

ქარხანაში განუწყვეტელი გუგუნია, შენობებიდან ცეცხლის ენები მოჩანს; ლიანდაგებზე აქეთ-იქით დასრიალებენ მატარებლები. ქარხნის ერთი მხარე უჭირავს თხუთმეტსართულიანი სიმაღლის გიგანტურ ღუმელს — ბრძმედს, რომელშიაც რკინის მადანს ადნობენ. ეს ფოლადის დევი დღეღამეში ასობით ვაგონ ულუფას გადაუშვებს ხოლმე თავის უზარმაზარ ცეცხლგამძლე მუცელში!

ბრძმედში რკინის მადანთან ერთად ყრიან კოქსს. კოქსი გამომშრალი ქვანახშირია, იგი კარგად იწვის, გამოსცემს დიდ სითბოს და რკინის მადანს ადვილად ადნობს.

დამდნარი რკინა წვეთ-წვეთობით გროვდება ბრძმედის ქვედა ნაწილში და თუჯად გადაიქცევა: როცა თუჯი საკმაოდ დაგროვდება, მას ბრძმედიდან გამოუშვებენ ხოლმე.

ამ დროისათვის ღუმელთან ჩამოდგება სპეციალური ვაგონები, რომლებზედაც დაწყობილია ვეება კასრისებური ჭურჭლები—ციცხვები.

გაისმის ოსტატის ბრძანება:—„გამოუშვით“! — და მუშებიც საბურღავი მანქანით ბურღავენ სადინარს...

უეცრად ღუმელიდან გადმოიფრქვევა წითლად მოელვარე ნაპერწკლები, ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდება თუჯიც. დამდნარი თუჯი ღარს გამოჰყვება. ჯერ წვრილ ნაკადად მოედინება, ნაკადი თანდათან იზრდება, ფართოვდება და ბოლოს ცეცხლოვან მდინარედ გადაიქცევა.

ორი სართულის სიმაღლიდან ლითონი ქვემოთ, ცარიელ ციცხვებში ილვრება.

გაივსება თუ არა ერთი ციცხვი, მუშა მიმართულებას შეუცვლის თუჯის ნაკადს. ახლა იგი მეორე ციცხვში ეშვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახევარ საათში ბრძმედი დამდნარი ლითონისაგან დაიცლება!

თუჯით სავსე ციცხვებს ელმავალი მარტენის საამქროში მიაქროლებს.

აქ ერთმანეთის მიყოლებით დგას რამდენიმე ღუმელი. ამ ღუმელებში თუჯს ადუღებენ და მისგან ფოლადს იღებენ.

თითოეულ ღუმელს აქვს უზარმაზარი აბაზანა. აბაზანაში ჩაასხამენ გამდნარ თუჯს. დაიწყება თუ არა თუჯის ხარშვა, მეფოლადე გაიკეთებს ლურჯ სათვალეს და საქვრეტი სარკმლიდან თვალყურს ადევნებს ფოლადის გამოდნობას.

სარკმლიდან კარგად მოჩანს მოთუხთუხე ლითონი. იგი ერთი კედლიდან მეორე კედელს აწყდება, ბობოქრობს, გახურებული ღუმელიდან გამოსვლას ლამობს. მაგრამ გზას რომ ვერსად პოულობს, თანდათან წყნარდება.

და, აი, ხარშვა დამთავრდა. ფოლადი მიღებულია, მეფოლადის ბრძანების უმალვე მუშებმა გამოხსნეს სადინარი.

უამრავი თეთრი შუშხუნების მსგავსად გადმოიფანტა ღუმელიდან ნაპერწკლები. საამქროს შენობა უჩვეულოდ აკაშკაშდა.

ფოლადის დიდი ჩანჩქერი სადინარიდან გადმოეშვა უზარმაზარ ციცხვებში. ამწეებმა თავისუფლად აიტაცეს ფოლადით სავსე მძიმე ციცხვი და გააქროლეს ცარიელი ჭურჭლებისაკენ, რომლებსაც ბოყვები ეწოდება.

ბოყვებში ფოლადი ცივდება. გაცივებულ ფოლადს ძლიერი საწნეხი მანქანებით სასურველ ფორმას მისცემენ. მერე ზოდებად დასჭრიან და მატარებლებით აგზავნიან ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში, რომ სხვადასხვა ქარხნებში ფოლადისაგან დაამზადონ ათასნაირი საგნები: მანქანები, ავტომობილები, ან შენი სათამაშოები.

ყველა ესენი შენს მხიარულ და ბედნიერ ცხოვრებას ემსახურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ქუხაძე

ნახატი შ. ფხაღაძისა

ჯოხის ცხენები

ირაკლი, სოსო, ტიტე და მურმანი მგელობანას თამაშს მორჩნენ და გადაწყვიტეს ცხენობანა ეთამაშათ. მაგრამ ცხენები?!

ამ დროს ბებია სოფიო ძლივძლივობით გადმოვიდა ბალჩიდან. მხარზე თუთის ტოტების ვეებერთელა კონა ედო.

— ბიჭებო, ბებიას მივეხმაროთ!—მიუბრუნდა სოსო ამხანაგებს.

ბავშვებმა ბებიას კონა ჩამოართვეს და რამდენიმე წუთში ფოთოლიც გააკრეფინეს.

— ესეც თქვენი ცხენები! — უთხრა ბებიამ და თუთის ტოტები გადმოუწყო ბიჭებს.

— მათრახები?!.. — იკითხეს ერთხმად.

— რადგან დამეხმარეთ, მე გასწავლით მათრახის კეთებას!

ბებიამ თუთის წნელს კანი ნახევრამდე გააცალა. გასხეპილი ნაწილი ვენახის სასლავი მაკრატლით გადაჭრა და მოაცილა. მერე კანი სამად გახლიჩა და ისეთი მათრახი დაწნა, ისეთი, ისეთი, რომ...

ირაკლიმ უცქირა ბებიას, უცქირა და თვითონაც ისწავლა მათრახის კეთება. სულ მალე ოთხი მათრახი მზად იყო. მერე გადაასხდნენ თუთის ტოტებს და ჰერი!...

ცხენოსნებმა ჯოხცხენები სწრაფად გააჭენეს.

ბებია ღიმილით აპურებდა აბრეშუმის ჭიას. პატარები კი აჯიბრებდნენ ერთიმეორეს ცხენებს და მათრახებს ჰაერში ატკაცუნებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგლას ქათმები.

ლ. ჭიჭინაძე

ნახატები ი. ბაბაშვილისა

მამამ გიგლას სათამაშო მანქანა მოუტანა. მერე რა კარგი მანქანა, თვითონ დადიოდა. ერთ-ორ დღეს კარგად ითამაშა გიგლამ მანქანით, ხელსაც კი არავის აკიდებინებდა, მაგრამ მალე მოსწყინდა. მერე დედამ ახალი სათამაშო, ჭრელი, ლამაზი ქათამი მოუტანა.

— ქათამი რად მინდა! — ტირილით თქვა და ხელიც არ მიაკარა.

— შენ არ იცი, ეს რა კარგი ქათამია. — უთხრა დედამ და ქოჩორას ზურგზე თითი დაადო.

ქათამმა უცებ კვერცხი დადო. გიგლა გამხიარულდა:

— ეს მართლაც კარგი ქათამი ყოფილა!

ამ სათამაშოთი კარგა ხანს შეიყოლია თავი. მერე ისიც ძველი სათამაშოების გვერდით მიაგდო.

— სად არის შენი ქათამი? — შეეკითხა დედა.

— ის რად მინდა, ნამდვილი ქათამი მიყიდე!

— ნამდვილ ქათამს კარგი მოვლა უნდა.

— მოვუვლი.

— იმის მოვლაც რომ მოგწყინდეს?

— არა, დედიკო, არ მომწყინდება.



ცეროდენა

ზანგების ზღაპარი

იყო ერთი ცეროდენა. მას ძლიერ უნდოდა, მალე გაზრდილიყო.

გადაწყვიტა, იმ მიდამოებში მცხოვრებ ყველაზე დიდი სულდგმულისათვის ეკითხა, როგორ გამხდარიყო დიდი.

გადაწყვიტა თუ არა, ცხენთან მივიდა და ჰკითხა:

— ცხენო, მასწავლე, როგორ გავხდე შენოდენა?

— ბლომად ჭამე სიმინდი, ოციოდე კილომეტრი გაირბინე და შენც ჩემოდენა გახდები. — მიუგო ცხენმა.

ცეროდენა ისე მოიქცა, როგორც ცხენმა დაარიგა, მაგრამ სიმინდმა მუცელი ატკინა, სირბილმა — ფეხები, გადაიღალა და თითქოს უფრო დაპატარავდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მაშ კარგი, პირობა არ დაივიწყო.

მეორე დღეს დედამ რამდენიმე წიწილა მოუყვანა ინკუბატორიდან. გიგლამ პატარა თითი ზურგზე დაადო ფუნჩულა წიწილას, მაგრამ კვერცხი—უკაცრავად! კვერცხის დადებაზე პაწაწინა ნამდვილი ქათმები არა ფიქრობდნენ.

— ესენი როგორი ქათმები არიან, ჯვერცხის დადება არა სცოდნიათ.

— ისწავლიან, —უთხრა დედამ, — საკენკს ნუ მოაკლებ და ნახე, რა კარგი კვერცხები დადონ.

გიგლა ყოველდღე ბევრ საკენკს უყრიდა წიწილებს. პირველად ძლივს რომ ისმოდა მათი წი-წი, რამდენიმე ხნის შემდეგ ხმა დაუმსხვილდათ. ერთმა ყიყლიყოს დაძახებაც კი სცადა, თუმცა ნამდვილ ყიყლიყოს არა ჰგავდა: თეთრი ღუნღულა ბუმბულის მაგივრად ფრთები წამოეზარდათ. გიგლა საკენკს რომ მიუტანდა, გაშლიდნენ ფრთებს და ხელზე აახტებოდნენ თავიანთ ერთგულ მომვლელს.

— გიგლა, აღარ მოგწყინდა მაგ წიწილების მოვლა? —ჰკითხა ერთხელ მამამ.

— ესენი ხომ სათამაშოები არ არიან, მოვლა სჭირდებათ; მალე კვერცხებს დადებენ და შენც გაკმევ.—მიუგო გიგლამ.

F/916

საგონებელში ჩავარდა ცეროდენა; რა ქნას, ცხენმა დახმარება ვერ გაუწია. რჩევისათვის ახლა ხარს მიმართა:

— ხარო, მასწავლე, როგორ გავხდე შენოდენა?

— ბალახი ბლომად ჭამე, ჩემსავით იზმუვლე, იზმუვლე და სულ მალე ჩემოდენა გახდები!—ურჩია ხარმა.

ცეროდენა ასეც მოიქცა, მაგრამ ბალახმა მუცელი ატკინა, ზმუილმა კი—ყელი. ხარის რჩევამაც ვერ უშველა...

ამ დროს ფუღურუოდან ბუს ძახილი გაისმა. ცეროდენამ იფიქრა, მოდი, იმასაც ვკითხავო, და შესჩივლა თავისი გაჭირი.

— მერე რად გინდა, რომ დიდი იყო? —გადმოსძახა ბუმ.

— იმიტომ, რომ ყველას მოვერიო. —უთხრა ცეროდენამ.

— იცი, რას გეტყვი; შენ ტანით გაზრდა კი არა, ჭკუით გაზრდა უფრო გჭირდება! —უპასუხა ბუმ და გაფრინდა.

ინგლისურიდან თარგმნა ვ. ურუშაძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშვი

ჟ. ხავთასი

თვალხუჭობანა

სადაც უნდა დავიმალო,
ჩემი მურიკელა
კუდის ქნევით და
ლაქუცით
მომაშურებს ხელად.
თვალს გაახელს მერაბი და
ადგილსაც არ იცვლის,
სადაც მურას დაინახავს,
მეც იქა ვარ, იცის.
დამიძახებს:—დაგინახე!
ხომ გიპოვე კიდევ!—
ერთხელაც ვერ დავემალე,
მურას გადამკიდე.
მეტი აღარ შემიძლია,
დავიტანჯე ქალი.
მურიაც ხომ ჩემთან იყო,
მან დახუჭოს თვალი!

გამოცანა

ცისფერ მინდორზე ფარა ჩანს,
მეცხვარე არ ჰყავს დარაჯად.

ქ. ჭილაშვილი

წინსაფარი

ნიამ თავის პატარა დას თეთრი ტილოს წინსაფარზე ორი გრძელულვაშა კატა ამოუქარგა.

საბავშვო ბაღიდან დაბრუნებულ დას ლურჯი წინსაფარი გახადა და თავისი შეკერილი წინსაფარი კარებშივე ააფარა.

ლიამ წინსაფრის კალთა გამოსწია და ფისუნებს ახედ-დახედა.

— ამოდენა ფისუნები რომ წამოგისკუპებია, კალთით როგორ უნდა ვატარო? თანაც ასეთი მსუნაგები! მე დამაცლიან საუზმის ჭამას?!.. —უსაყვედურა ნიას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახატები ბ. ტოლინოვილისა

ბაკალი

ნ. ნაკაშიძე

თხუნელა

დედამ ბაბუას უამბო, რომ თხუნელა ცხოვრობს მიწაში, რომ მას თვალები არ აქვს და ვერაფერს ხედავს.

— საწყალი თხუნელა!—შესძახა შეწუხებულმა ბაბამ,—თუ თვალები არა აქვს, მაშ ვერასოდეს ვერ დაიძინებს?!



გამოცანა

ერთი რამე ვნახე, ეშმაკისა სახე,
ზევით-ზევით მიდიოდა,
ძირს დაეგო მახე.
წვრილი ჩიტიც გაბმულიყო,
ჩემი თვალით ვნახე.

ხალხური

ცოტა

ილია სიხარულიძე

პატარა რომ იყო გოგი,
იცით, რა იცოდა?
იგი საპმელს ასე გთხოვდა:
„მომე რაა ცოტა!“
მაგრამ ცოტას თუ მისცემდი,
შეატყობდი, სწყინდა;
შეეპამდა და ისევ გთხოვდა:
„ცოტა კიდევ მინდა!“

და რატომღაც სიტყვა „ცოტა“
გოგის შეუყვარდა,
სხვა რამესაც „ცოტას“ გთხოვდა
იგი საპმლის გარდა.
ერთხელ ხედავს: ძირს ბეღურა
ხიდან ჩამოფრინდა.
დედას უთხრა: „დედი, დედი,
ცოტა ჩიტი მინდა!“

ბიბლიოთეკა
სკოლამდ. აღზ. საქ. სახელმ.
სკოლამდე
ბიბლიოთეკა
ბილი

ნახატები პ. ქანდელაკისა

6-61/114

მეგობრები

შეადგინეთ მოთხრობა

ყდის მხატვრობა ეკუთვნის **რ. ცუცქირიძეს** მაკეტი ალ. ბანძელაძისა

რედაქტორი ოსეს ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: **გრ. ახაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი** (რედაქტორის მოადგილე), **რ. მარგიანი, ი. სახარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე** (სამხატვრო რედაქტორი) **გამოცემის ოცდამეცხრე წელი** ფასი 2 მან.

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии № 7, июль 1956 г. Тбилиси. Просп. Плеханова 91.

საბლიტბამი, რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრსპ. 91. ტელ. 8-37-28. გამომც. შეკვ. № 856 სტამბის შეკვ. № 511|690

ტირაჟი 15.000. უე 05904 **ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VI-56 წ.** ტაქტი ანყობილია პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში. ქუჩაზე ლაბეშვილია ფერადი ბეჭდვის სტამბაში, მარუჯანიშვილის 5.